ხიდი ციყვებისთვის

შენი აზრით, რისთვის სჭირდება ციყვს ხიდი? წაიკითხე ტექსტი და გაიგე, რა დანიშნულება აქვს მას.

ციყვი პატარა საყვარელი არსებაა. ის ტყეში ცხოვრობს. თუმცა ციყვებს ხშირად ქალაქის პარკებშიც ვხედავთ. აქ საკვების ძებნაში ისინი ერთი პარკიდან მეორეში გადადიან. მანქანებით სავსე ქუჩებში მოძრაობა კი ძალიან **საშიშია**. ამიტომ ზოგ ქვეყანაში ციყვებს ხიდები გაუბეს ჰაერში. პირველი ასეთი ხიდი 1963 წელს გააკეთეს ამერიკაში. ხიდი 18 მეტრი სიგრძის სახანძრო მილი იყო. მსგავსი ხიდები მალევე გაჩნდა ბელგიისა და საფრანგეთის ქალაქებში. უკვე რამდენიმე წელია, რაც თოკის ხიდი არსებობს ბერლინშიც.

ბერლინი გერმანიის დედაქალაქია. იქ ძალიან ბევრი სიმწვანეა. ამიტომ პარკებში ნებისმიერ დროს შეიძლება შენიშნო ციყვი. მათთვის ხიდის გააკეთება მეცნიერმა ჰენრიკ ცვადლომ. მას სხვებიც დაეხმარნენ. აიღეს **მსხვილი** თოკი და ხეებზე გადაჭიმეს. ხიდის ორივე მხარეს ჩამოკიდეს თხილით სავსე კალათები. ციყვებმა **იოლად** იპოვეს თხილი. ასე ისწავლეს მათ ხიდის გამოყენება.

ახლა ციყვები ქუჩებში არ მოძრაობენ. ისინი თოკის ხიდებით გადადიან პარკიდან პარკში. ადამიანებიც კმაყოფილი არიან. ისინი ხომ პატარა არსებებს ერთი პრობლემის **მოგვარებაში** დაეხმარნენ.

შენც ხომ არ გინდა ასეთი ხიდის აგება? რატომ?

ფოტო: A გამართული, **კომპეტენცია:** პრობლემის გადაჭრა

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 ციყვებს მოსწონთ ქალაქები, სადაც:

ა) ბევრი მანქანაა.

ბ) ბევრი სიმწვანეა.

გ) ბევრი ხიდია.

2 ქალაქში ციყვს პრობლემას უქმნის:

ა) თხილით სავსე კალათები.

ბ) ქუჩებში მოძრავი მანქანები.

გ) ჰაერში გაბმული თოკები.

3 თოკის ხიდის გაბმის შემდეგ:

ა) სკვერებში ციყვების რაოდენობა შემცირდა.

ბ) ქუჩებში მანქანები ნელა მოძრაობენ.

გ) ციყვები ქუჩებზე აღარ გადადიან.

4 რის შესახებ *<u>არ არის</u>* საუბარი ტექსტში?

ა) რატომ აიგო ციყვებისთვის პირველი ხიდი ამერიკაში.

ბ) რატომ გადადიან ციყვები ერთი სკვერიდან მეორეში.

გ) რატომ გახდა საჭირო თოკის ხიდების გაბმა.

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. მანქანებით სავსე ქუჩებში მოძრაობა ძალიან **საშიშია.**

   ა) სასიამოვნოა. ბ) საინტერესოა. გ) სახიფათოა.

2. აიღეს **მსხვილი** თოკი.

   ა) გრძელი. ბ) მაგარი. გ) სქელი.

3. ციყვებმა **იოლად** იპოვეს თხილი.

   ა) ადვილად. ბ) მოულოდნელად. გ) უცნაურად.

4. ადამიანები ციყვებს პრობლემის **მოგვარებაში** დაეხმარნენ.

   ა) დავიწყებაში. ბ) მოწესრიგებაში. გ) შეცვლაში.

2 რომელია საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები (ანტონიმები)?

ა) მალე – ადრე. ბ) მსხვილი – წვრილი. გ) მსგავსი – ერთნაირი.

▶▶▶ გრამატიკა

1 სწორად დაასრულე სიტყვა.

ციყვი ერთი პარკიდან მეორე. . . გადადის.

2 რომელი სიტყვაა გამოტოვებული?

1. ხიდები ---------- გაუბეს ჰაერში.

   ა) ციყვები. ბ) ციყვებმა. გ) ციყვებს.

2. ---------- ციყვების დახმარება გადაწყვიტა.

   ა) მეცნიერი. ბ) მეცნიერმა. გ) მეცნიერს.

3 დაწერე ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები სწორი ფორმით.

1. ბერლინი (გერმანია) ---------- დედაქალაქია.

2. მსგავსი ხიდები გაჩნდა (ბელგია) ---------- სკვერებში.

გრამატიკა

4 იპოვე შეცდომები და აღნიშნე X-ით.

☒ *ხშირათ.*	☐ *ხშირად.*
1. ☐ ზოგ ქვეყანაში.	☐ ზოგ ქვეყნებში.
2. ☐ მან ცხოვრობს.	☐ ის ცხოვრობს.
3. ☐ სხვები ეხმარებიან.	☐ სხვები ეხმარება.
4. ☐ ისინი დაეხმარენ.	☐ ისინი დაეხმარნენ.
5. ☐ 1963 წელში.	☐ 1963 წელს.

წერა

წარმოიდგინე, რომ ერთი ციყვი თავად ჰყვება, რა პრობლემები ჰქონდა ქალაქში და როგორ დაეხმარნენ მას ადამიანები. დაწერე მისი ნაამბობი.

შეგიძლია დაიწყო ასე:

დიდი ხანია, რაც მე და ჩემი ახლობლები ბერლინს ვეწვიეთ. მოგვეწონა ქალაქის სიმწვანე და ერთ-ერთ სკვერში დავბინავდით... ----------

---